საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF ECONOMICS AND BUSINESS

N 6462/29
10/04/2019

6462-29-3-201904101505

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს,
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში დამატების შეტანის თაობაზე ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

გიორგი ღაღანიძე

დეკანი
ადმინისტრაცია

უნივერსიტეტის ქ. 2, 0186 თბილისი, საქართველო
2, University Str., 0186 Tbilisi, Georgia
http://www.economics.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 230 00 32, 2 30 45 36 Tel.
ფაქსი: +(995 32) 230 00 32 Fax
ელ.ფოსტა: economics@tsu.ge; E-mail

ამონაწერი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 27 მარტის სხდომის #6 ოქმიდან

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტის დ. მახვილაძის ინფორმაცია, ფაკულტეტის დებულებაში დამატების შეტანის შესახებ:

შევიდეს ცვლილება თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით (ოქმი №4) დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში“ და დებულების მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ²“ ქვეპუნქტი:

„პ²) დეკანის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტ(ებ)ის სადისერტაციო თემ(ებ)ის დამტკიცებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის დანიშვნის თაობაზე;“

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორ გ. ღაღანიძემ გააკეთა დამატებით განმარტებები საბჭოს წევრებისათვის. საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 28

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. შევიდეს დამატება თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით (ოქმი №4) დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში“ და დებულების მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ²“ ქვეპუნქტი:

„პ²“) დეკანის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტ(ებ)ის სადისერტაციო თემ(ებ)ის დამტკიცებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის დანიშვნის თაობაზე;“

2. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში დამატების შეტანის თაობაზე“

ფაკულტეტის საბჭოს წინამდებარე გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი: გ. ღაღანიძე

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: მ. მაისურაძე